

ჩესკომორავსკა მისლივეცკა ჯედნოტა ჩეხეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 33091/96)

განჩინება

დასაშვებობის შესახებ

23 მარტი, 1999 წელი

ფაქტები: აპლიკანტი არის მონადირეთა და ბრაკონიერებისგან დამცველი ასოციაცია, რომელიც რეგისტრირებულია პრაღაში. 1948 წელს, კერძო სახლი და მიწის ნაკვეთი (მდებარე პრაღაში) გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში საბითუმო საწარმოთა ნაციონალიზაციის აქტის საფუძველზე. მის მესაკუთრეს კომპენსაცია არ გადაუხადეს. 1949 წლის აპრილში, აღნიშნული საკუთრება იყიდა აპლიკანტმა ასოციაციამ 3,250,000 კრონად. მონეტარულმა რეფორმამ 1993 წლის 1 ივნისისთვის შეამცირა კრონის ღირებულება ხუთჯერ.

1991 წლის 20 ივნისს, ქონების ყოფილი მესაკუთრის მემკვიდრეებმა, რესტიტუციის აქტის 3 (2) (ე) ნაწილის საფუძველზე თხოვეს აპლიკანტ ასოციაციას რესტიტუციის ხელშეკრულების გაფორმება წინამდებარე აქტის მე-5 ნაწილის საფუძველზე. რადგან აპლიკანტმა უარი განაცხადა გარიგების დადებაზე, მემკვიდრეებმა საქმე შეიტანეს პრაღის რაიონულ სასამართლოში. 1992 წლის 3 დეკემბერს, რაიონულმა სასამართლომ აპლიკანტ ასოციაციას დაავალა რესტიტუციის ხელშეკრულების გაფორმება იმ მოტივით, რომ ნაციონალიზაცია უკანონო იყო. ხოლო ქონების ღირებულებაზე ცალკე შეთანხმება უნდა მიღწეულიყო. მომჩივანმა ასოციაციამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და განაცხადა, რომ ნაციონალიზაციის უკანონობა დადასტირებული არ იყო. იგი ასევე აცხადებდა, რომ ასოციაცია ვერ იქნებოდა მიჩნეული „უფლებამოსილ პირად“ რესტიტუციის აქტის მე-4 ნაწილის მიხედვით, რადგან მან ქონება 1949 წელს კანონიერად შეიძინა.

1993 წლის 30 სექტემბერს, ადგილობრივმა სასამართლომ უარყო აპლიკანტის საჩივარი და დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენებოდა რესტიტუციის აქტი, რადგან ყოფილ მესაკუთრეს კომპენსაცია არ მიუღია, ამასთან, აპლიკანტ ასოციაციას არ განუსაზღვრავს ქონების ხელახლა შეფასების რაოდენობრივი კომპენსაცია და არ წარუდგენია შეგებებული სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე ნაწილის შესაბამისად.

1993 წლის 20 დეკემბერს, აპლიკანტმა ასოციაციამ წარადგინა სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის წინააღმდეგ, აცხადებდა რა, რომ შეუძლებელი იყო ქონების დაბრუნების მოთხოვნა, რადგან იგი არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, რომელმაც სახელმწიფოსგან უფასოდ მიიღო ქონება. 1994 წლის 30 დეკემბერს, ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ უარყო მომჩივნის საჩივარი შემდეგი საფუძვლებით: „... თუ ის ქონება, რომელიც კომპენსაციის გადახდის გარეშე ნაციონალიზაციას დაექვემდებარა, არ არის სახელმწიფო ქონების სხვა პირებზე გადაცემის აქტის 1-ლ ნაწილში აღნიშნული იურიდიული პირების საკუთრებაში ან მფლობელობაში (მაგ., სახელმწიფო საწარმო, სახელმწიფო ბანკი, სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია და სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია...), მაშინ საკუთრების უფლების დარღვევის გამო ანაზღაურება რეგულირდება რესტიტუციის აქტის შესაბამისად სახელმწიფო ქონების სხვა პირებზე გადაცემის აქტის 47-ე ნაწილთან ერთად. ...“

ქონების ღირებულებასთან მიმართებით, კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ: „რესტიტუციის აქტის მე-5 (3) ნაწილის მიხედვით, უფლებამოსილ პირს შეუძლია დადოს გარიგება შესაბამის პირთან ქონების დათმობის თაობაზე ერთობლივი მოთხოვნების სავალდებულო გადაწყვეტის გარეშე... კომპენსაციის გადახდის მეთოდს არც რესტიტუციის აქტის მე-7 (4) ნაწილი მოიცავს, რომლის მიხედვითაც, შესაბამისმა პირმა უნდა გადაუხადოს უფლებამოსილ პირს სხვაობა ძირითად და იმ დროს არსებულ ფასს შორის. ... აღნიშნული მოცემულობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის დებულებებით, რომელიც ვალდებულებით ურთიერთობებს ეხება. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 560-ე ნაწილი ეხება სანაცვლო ვალდებულებებს, იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ქონების დათმობის გარიგებასთან მიმართებით რესტიტუციის აქტის მიხედვით“.

1995 წლის 10 აპრილს, აპლიკანტმა ასოციაციამ შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი, აცხადებდა რა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს მისი საკუთრების უფლება, რომელიც დაცულია ქარტიის მე-11 მუხლის 1-ლი პარაგრაფითა და კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით. იგი ასაჩივრებდა სასამართლოთა დასკვნებს მის პოზიციებთან მიმართებით, რომელიც ქონების დათმობის ვალდებულებას, ქონების ხელახლა შეფასების შედეგად კომპენსაციის გადახდას, რესტიტუციის აქტსა და სახელმწიფო ქონების სხვა პირებზე გადაცემის აქტს შორის ურთიერთმიმართებას და ამ ორი აქტის სამოქალაქო სამართლის ვალდებულებითი ნაწილის ნორმებთან კავშირს ეხებოდა.

1996 წლის 1 მარტს, საკონსტიტუციო სასამართლომ აპლიკანტი ასოციაციის სარჩელი უარყო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებთან დაკავშირებით.

სამართალი

აპლიკანტი დავობს, რომ მისი ქონების რესტიტუცია უფლებამოსილი პირების მიმართ წარმოადგენდა მისი საკუთრების დე ფაქტო ექსპროპრიაციას და მისთვის გამოყოფილი კომპენსაცია შეადგენდა ქონების ნამდვილი ღირებულების 1/5 ნაწილს. მომჩივანი დამატებითი აცხადებდა, რომ სახელმწიფო ქონების სხვა პირებზე გადაცემის შესახებ აქტის (ცვლილებებს დაქვემდებარებული) 47 (ა) ნაწილი რესტიტუციის აქტთან ერთად დისკრიმინაციული იყო ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„მუხლი 1. საკუთრების დაცვა

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხს არ განიხილავს აკმაყოფილებს თუ არა აპლიკანტი ასოციაცია კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნებს შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, რადგან განაცხადი ყველა შემთხვევაში დაუშვებელია მისი აშკარად დაუსაბუთებელი ხასიათის გამო შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე.

სასამართლო განმარტავს, რომ „საკუთრება“ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში შესაძლებელია იყოს როგორც „არსებული ქონება“ ან ღირებული აქტივები, მათ შორის მოთხოვნები კონკრეტულ გარემოებებში.

სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტი ასოციაციას ჰქონდა „საკუთრება“ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მნიშვნელობის ფარგლებში იმ

შემთხვევაშიც თუ მისი ქონება გადაეცა ყოფილი მესაკუთრის მემკვიდრეებს. შესაბამისად, დაახლოებით 45 წლის განმავლობაში იგი ფლობდა აღნიშნულ სადავო ქონებას და მიიჩნეოდა მის მესაკუთრედ ყველა სამართლებრივი საფუძვლით. დამატებით, არაგონივრული იქნებოდა იმის თქმა, რომ სახელმწიფოს შეეძლო მიეღო ისეთი კანონმდებლობა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა კეთილსინდისიერად შეძენილი ქონების რესტიტუციას და ფაქტობრივად, *ab initio* ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას და შესაბამისად, კონვენციით დაცული საკუთრების უფლების ჩარევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობის არიდებას.

განმცხადებელი ასოციაციის ქონებაზე საკუთრების უფლება გაუქმდა სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლითაც მოხდა ქონების რესტიტუცია წინანდელი მესაკუთრის მემკვიდრეებზე.

სტრასბურგის სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არსობრივად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას, რომელიც მოიცავს სამ განსხვავებულ წესს: „პირველი მათგანი ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას; მეორე წესი უკავშირდება საკუთრების ჩამორთმევას, რომელიც კონკრეტულ გარემოებებს უნდა დაექვემდებაროს. მესამე - ეხება საკუთრებით სარგებლობის კონტროლს. საკუთრების ჩამორთმევა განსაზღვრულია, რომ ეხება ისეთ ქმედებებს, როცა სახელმწიფო თვითონ ან მესამე პირს აძლევს უფლებას დაეუფლოს ქონების კონკრეტულ ნაწილს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება.

აპლიკანტი ასოციაციის მოთხოვნის არსი ეხებოდა პრივატიზაციის აქტის 47 (ა) ნაწილს და რესტიტუციის აქტის შესაბამის დებულებებს; კერძოდ, მათი არასწორი გამოყენების მეთოდს და შედეგად დამდგარ უკანონობას. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნები განხილულ უნდა იქნეს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი წინადადების ფარგლებში.

საქმის გარემოებების განხილვის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს დაცული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესსა და პირის ძირითადი უფლების დაცვის მოთხოვნებს შორის.

კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შემთხვევებში, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული ზღვარი. როცა კანონმდებელმა მიიღო კანონები, რომელიც საერთო ინტერესის ფარგლებში იქნა მიჩნეული, ალტერნატიული გადაწყვეტილებების შესაძლო არსებობა თავისთავად არ ნიშნავს სადავო კანონმდებლობის უსამართლობას. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო

ორგანოები რჩებიან თავიანთი შეფასების საზღვრებში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს იყო თუ არა კანონმდებლობა საუკეთესო გამოსავალი.

მოცემულ შემთხვევაში, აპლიკანტი ასოციაციის საკუთრების უფლება გამომდინარეობდა სახელმწიფოსთან 1949 წელს დადებული გარიგებიდან, რომელმაც აღნიშნული ქონება შეიძინა ნაციონალიზაციის გზით კომპენსაციის გარეშე. 1991 წელს, პარლამენტმა მიიღო რესტიტუციისა და პრივატიზაციის აქტები, რომელიც წარმოშობდა ახალ შესაძლებლობას კომპენსაციის გარეშე ქონების ნაციონალიზაციის აქტების გასაჩივრებისა, მესამე პირების სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შენარჩუნებით, რომლებიც ნაციონალიზაციამდე ქონების მესაკუთრეები იყვნენ. მათმა მემკვიდრეებმა გამოიყენეს აღნიშნული შესაძლებლობა და მოითხოვეს ქონების რესტიტუცია რესტიტუციის აქტის მე-2 (3) ნაწილისა და პრივატიზაციის აქტის 47 (ა) ნაწილის საფუძველზე. ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს რა მათი მოთხოვნა, დაასკვნეს, რომ ნაციონალიზაციამდე ქონების მესაკუთრეს არასდროს არ მიუღია კომპენსაცია და შესაბამისად აპლიკანტი ასოციაციას დააკისრა მესაკუთრის მემკვიდრეებზე ქონების გადაცემა.

სტრასბურგის სასამართლომ განიხილა რა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე მომჩივანი ასოციაციის უფლებებში ჩარევა ზემოთ აღნიშნული კანონმდებლობიდან გამომდინარე და მისი იმპლემენტაციის მართებულობა, კონკრეტული მნიშვნელობა მიანიჭა რესტიტუციის აქტთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ გარემოებებს. ამ აქტის მიზანი იყო შეემსუბუქებინა ის ზიანი, რაც გამოწვეული იყო მოქალაქეთა უფლებების პატივისცემაზე ორიენტირებული დემოკრატიული საზოგადოების პრინციპთან შეუსაბამო ქმედებებით. ამ აქტის მიღების დროს, კანონმდებლებმა დაადასტურეს, რომ მათი მიზანი იყო წარსულში ჩადენილი სამართალდარღვევების განმეორების თავიდან აცილება. შესაბამისად, რესტიტუციის აქტი ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - უზრუნველყო იურიდიული გარიგებების კანონიერება. იგი ხელს უწყობდა დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების გატარებას და უზრუნველყოფდა ანაზღაურებას იმ შემთხვევებში, როცა სამართალდარღვევები ხდებოდა ასეთი პრინციპების მიუხედავად. ასეთ გარემოებებში და სახელმწიფოს შეფასების ფართო ზღვრიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ჩამორთმევა განხორციელდა არა მარტო ნაციონალიზაციამდე ქონების ძირითადი მესაკუთრეების ინტერესების გამო, არამედ ზოგადად, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანი ასოციაციის მიმართ გადახდილ იქნა ნასყიდობის თავდაპირველი ფასი - 650,000 კრონა, როგორც ეს გათვალისწინებულია რესტიტუციის აქტის მე-11 ნაწილის მიხედვით. გარდა ამისა, რესტიტუციის აქტის მე-7 (4) ნაწილის თანახმად, მომჩივან ასოციაციას შეეძლო მოეთხოვა კომპენსაცია რესტიტუციის უფლების მქონე პირებისგან ქონების ხელახლა შეფასების გამო. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარე იქნებოდა ქონების გადაცემის მოთხოვნის წარდგენის დროს არსებულ ფასსა და ძირითად გასაყიდ ფასს შორის არსებული სხვაობის ანაზღაურებით.

საბოლოოდ, ერთი მხრივ, ასოციაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის განსხვავებული მოპყრობა რესტიტუციასთან მიმართებით, რასაც ეფუძნება აპლიკანტი ასოციაციის საჩივარი, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს „შესაბამისად მსგავს სიტუაციებში“ ინდივიდების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე. თუმცა, სასამართლო ადგენს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო დაწესებულებას შორის სიტუაცია შესაძარბელი არ არის და შესაბამისად, მოცემული საქმე არ ავლენს რაიმე დისკრიმინაციულ მიდგომას კონვენციის მე-14 მუხლის საწინააღმდეგოდ.

საბოლოო ჯამში, სასამართლო არ მიიჩნევს ჩეხეთის სახელისუფლებო ორგანოები მოქმედებდნენ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში სახელმწიფოებისთვის მიცემული შეფასების ზღვრის მიღმა ან მოცემულ საქმეში ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება დისკრიმინაციული იყო აპლიკანტი ასოციაციისთვის.

აქედან გამომდინარე, განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში და უარყოფილ უნდა იქნას 35-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის საფუძველზე.